ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

ქიაჩელის ქ. №17 და №17ა განაშენიანების პროექტისათვის



თბილისი
იანვარი, 2020

წარმოდგენილი კვლევა-რეკომენდაცია შემუშავებულია ლ. ქიაჩელის №17და №17ა-ს განაშენიანების პროექტისათვის. ქიაჩელის (ყოფ. ყორღანოვის) ქუჩა მდებარეობს ისტორიულ ვერის უბანში, ხოლო ადმინისტრაციულად ძველი თბილისის გამგეობას ეკუთვნის.



თბილისის რუკა 1913წ.

ვერა, იგივე ვერე, დღეს თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური უბანია. ძველად აქ, მდინარე ვერეს ქვემოწელზე, განლაგებული სოფელი ვერე ქალაქს ჩრდილო-დასავლეთიდან გარეთუბნის შემდეგ ესაზღვრებოდა. ისტორიულად ეს ტერიტორია გაბაშვილების მამულს წარმოადგენდა. XVIIIს-ში ვერე შემოიფარგლებოდა სამხრეთიდან გაბაანთ ხევით, დასავლეთიდან – სემიონოვკის დასახლებით, ჩრდილოეთიდან – საბურთალოთი, აღმოსავლეთიდან – მტკვრით. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ვერეს ადრე სკვირეთი რქმევია. დროთა განმავლობაში სკვირეთი (სკორეთი) და ვერე კრებითი სახელი ხდება და აერთიანებს საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას.

ვერა თბილისს ოფიციალურად XIXს-ის 70-იან წლებში შემოუერთდა. 1880-იან წლებში ქალაქის ეს უბანი უკვე მჭიდროდ არის განაშენიანებული. მიკროუბნის ქუჩათა სტრუქტურა, ნათლად ჩანს თბილისის სხვადასხვა დროინდელ გეგმებზე. 1904-13 წლის თბილისის გეგმებზე მოცემული უბანი ქალაქის I ნაწილს – ვერას ეკუთვნის. აქ უკვე ჩამოყალიბებულია ქუჩათა მეტ-ნაკლებად რეგულარული ქსელი. დღევანდელი რესპუბლიკის მოედნის ადგილზე ვხედავთ „არტილერიისკაია ბალკას“, ასევე სამხედრო, სარაკეტო, საზარბაზნე ქუჩებს.

აქვე ახლოს (რუსთაველის მოედნის ადგილზე) იყო „მოსკოვის ზასტავა", ასევე მესანგრეთა ქუჩა (თაბუკაშვილი). ამგვარად ცარიზმის პერიოდში ვერის უბნის ეს ნაწილი მნიშვნელოვან სამხედრო დანიშნულების მიკროუბანს წარმოადგენდა.

XX საუკუნის II ნახევრის რეკონსტრუქციისას მოცემულ მიკროუბანში განადგურდა რამდენიმე ისტორიულად ღირებული ნაგებობა (მათ შორის, ზემელის აფთიაქი) და მკვეთრად შეიცვალა უბნის არქიტექტურული სახე. საარქივო ფოტოებზე შემონახულია „ზემელის" განაშენიანების ცალკეული ფრაგმენტები.





ახვლედიანისა და ქიაჩელის ქუჩები, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ თითქმის პირვანდელი სახით არის შემონახული, რასაც მოწმობს ამ ურბანულ მონაკვეთში ისტორიულ ძეგლებად აღიარებული ნაგებობების სიმრავლე. ჩვენთვის საინტერესო ქიაჩელის №16-ც, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს.



ქიაჩელის (ყოფ. ყორღანოვის) განაშენიანება ძირითადად XIXს-ის II ნახ-ისა და XX-ის დასაწყისის ამპირული სტილის ნაგებობებისაგან შედგება. იშვიათად გვხვდება XX ს-ის II ნახევრის საბჭოთა არქიტექტურის ნიმუშებიც.





ისტორიული ძეგლების პირველი სართულები, როგორც ქიაჩელის ქუჩის მთელს გაყოლებაზე სახლების პირველი სართულების ბინები, კომერციული ფუნქციით არის სახეცვლილი. აქა-იქ გაჩენილი თანამედროვე ჩანართები უმეტესწილად არ შეესაბამება ქიაჩელის ქუჩის ისტორიული განაშენიანების მასშტაბსა და ხასიათს, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა სანაპიროს მხრიდან აღქმად ხედზე.





ქიაჩელის ქუჩის ისტორიული განაშენიანება ორ-სამსართულიანია და ტერასულად იყო განვითარებული მტკვრისკენ დაფერდებული რელიეფისკენ. სწორედ ასეთი განაშენიანების ფრაგმენტი არსებობდა ქიაჩელის ქ. №17-ის მიმდებარე ფერდობის სიღრმეში განთავსებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც დღეს აღარ არსებობს.

ამჟამად მიწის ნაკვეთის ფარგლებში მხოლოდ საძირკვლებისა და დაბეტონებული ტერასების კვალია შერჩენილი, რომელთა ნაცვლად ახალი ობიექტის მშენებლობა მიმდინარეობს.





მიწის ნაკვეთის მიმდებარედ №17-ში, ქიაჩელის ქუჩისათვის საკმაოდ მსხვილი ბინათმშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც ზედმეტად თანამედროვე, ხისტი ფორმებით იჭრება ქუჩის ტრადიციულ განაშენიანებაში. ამასთან აღსანიშნავია, რომ ახალი მოცულობა ფერდობის გაყოლებაზე ტერასულად ვითარდება და შესაბამისად მთელი მასით არ აღიქმება ქიაჩელის ქუჩიდან.





თავად ქიაჩელის ქ. №17, ორსართულიანი, ამპირული სტილის სახლი, არ წარმოადგენს კულტურულ მემკვიდრეობას და მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია. შენობის ფასადი გალესილია ცემენტის ხსნარით, არქიტექტურული ელემენტები არ გამოირჩევა კაზმულობით, ისევე, როგორც ეზოსკენ მიმართული ხის შუშაბანდების ნახატი.





სახლის მზიდი კედლები დაბზარულია, ხოლო ხის ელემენტები – შუშაბანდები და კიბეები ამორტიზირებული.





რეკომენდაციები

ლ. ქიაჩელის ქუჩის №17-ში არსებული ნაგებობა არ წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტს და მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია, შესაბამისად, მისი ჩანაცვლება ახალი არქიტექტურით შესაძლებლად მიმაჩნია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

- ქალაქის ისტორიული ნაწილის ამ ტერიტორიის ათვისება უნდა მოხდეს ქიაჩელის ქუჩის ისტორიული განაშენიანების და მიმდინარე ახალმშენებლობების მასშტაბის შეჯერებით. მნიშვნელოვანია, რომ მოცულობის სიმაღლემ არ გადააჭარბოს ქიაჩელის ქუჩის skyline-ის ჩამოყალიბებულ ხაზს, რომელიც აღქმადია სანაპიროს მხრიდან;
- ახალი ობიექტის საშენ მასალად გამოსაყენებელია აგური, ნალესი ფაქტურები ან სხვა ისტორიულ უბანთან თავსებადი თანამედროვე მოსაპირკეთებელი მასალები;
- პროექტისათვის აუცილებელია მის გვერდზე მშენებარე ქიაჩელის ქ. №15 არქიტექტურული ფორმისა და ფაქტურის გათვალისწინება იმისათვის, რომ არ მოხდეს ამ მოცულობების ერთმანეთზე გადაბმა ერთიანი ფარდის პრინციპით.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი